



**PEPSICO**



# PepsiCo-ს ადამიანთა უფლებები პოლიტიკა სამუშაო ადგილზე

PepsiCo პატივს სცემს ჩვენი თანამშრომლების ღირსებას და იღწვის ჩვენი კოლეგებისათვის უსაფრთხო, სუფთა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისაკენ, სადაც ადგილი არ ექნება შევიწროვებას ან რაიმე სახის აგრესიას.

სამართლიანად და პატიოსნად ვუდგებით ჩვენი კოლეგების ხელფასების, სოციალური პაკეტებისა და სხვა პირობების უზრუნველყოფას და ვაცნობიერებთ მათ უფლებას, ჩამოაყალიბონ კავშირები. ჩვენ არ ვიყენებთ იძულებით შრომას და არც ბავშვებს ვამუშავებთ.

არ ვეგუებით დისკრიმინაციას და ყველა კოლეგისათვის თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებისაკენ ვიღწვით.

მუშაობისას ვიცავთ ყველა შესაბამის კანონს, ნორმატიულ აქტსა თუ შრომის სხვა სტანდარტს.

ჩვენს პარტნიორებს, მომმარაგებელ კომპანიებს, კონტრაქტორებსა და მომწოდებლებს მოვუწოდებთ, დაიცვან ჩვენი პოლიტიკა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ პარტნიორებთან მუშაობას, რომლებიც ჩვენს დამოკიდებულებას იზიარებენ, ადამიანთა უფლებების თვალსაზრისით.

## **PepsiCo-ს ადამიანთა უფლებების პოლიტიკა სამუშაო ადგილზე: დებულებები და განმარტებები**

### **დებულებები:**

**გავრცელების საზღვრები:** პოლიტიკა ეხება PepsiCo-ს ყველა კოლეგას.

**მინიმალური სტანდარტი:** PepsiCo-ს ყველა სახის საქმიანობა უნდა ხდებოდეს ადგილობრივი კანონებისა და საკანონმდებლო აქტების დაცვით. ეს პოლიტიკა უნდა შესრულდეს შესაბამისი ადგილობრივი კანონებისა და საკანონმდებლო აქტების არარსებობის პირობებში.

**შესწორებული ვერსია:** 2009 წლის იანვარი

**განმარტებები:** ამ განმარტებების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ღირებულებების შესახებ განაცხადთან“, „ქცევის კოდექსთან“ და PepsiCo-ს ან მისი განყოფილებების პოლიტიკებთან ერთობლიობაში, როგორცაა მრავალფეროვნების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, შრომისა და ადამიანთა რესურსების პოლიტიკები.

**ადამიანთა უფლებები ეხება სამ სფეროს:**

- 1. პატივისცემა:** პირადი უსაფრთხოება; გარემო შევიწროვებისა და აგრესიის გარეშე; კავშირების შექმნის უფლება.
- 2. თანასწორობა:** თანაბარი შესაძლებლობები მიუხედავად ასაკის, სქესის, რასის, რელიგიის, გენდერული იდენტურობის, ეროვნების, სექსუალური ორიენტაციის, ინვალიდობის, ვეტერანის სტატუსის, ფეხმძიმობის სტატუსისა თუ სხვა მახასიათებლებისა, რომელსაც შესაბამისი ეროვნული ან ადგილობრივი კანონები იცავს.
- 3. მუშაობის ღირსება:** ადამიანის სამუშაო პირობები; თანამშრომლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ბავშვის შრომის ან იძულებითი შრომის აკრძალვა.

**კავშირების შექმნის უფლება ნიშნავს:** კანონისა და კომპანიის პოლიტიკისა და პროცედურების თანახმად, ნებადართულია კავშირების შექმნა და მათი შეკრებებისა და კომუნიკაციების გამართვა სამუშაოსთან დაკავშირებული მიზნებისათვის.

**იძულებით შრომის აკრძალვა ნიშნავს:** აკრძალულია ძალდატანებითი ან ტუსაღური შრომა, დასჯის ფიზიკური მეთოდების გამოყენება, ძალადობით დამუქრება და ასევე ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ სიტყვიერი აგრესია.

**ბავშვის შრომის გამოყენების აკრძალვა ნიშნავს:** 15 წლამდე ასაკის ადამიანის მუშაობა აკრძალულია ნებისმიერი მიზნით, სრულ შტატზე თუ ნაწილობრივ შტატზე, მათ შორის ანაზღაურებით თუ ანაზღაურების გარეშე.

**ჰუმანური სამუშაო გარემო ნიშნავს:** უზრუნველყოფილია უსაფრთხო, ჯანსაღი და სუფთა სამუშაო გარემო, სადაც არის შესაფერისად განათებული სამუშაო კუთხეები, სასმელი წყალი, ადეკვატური საპირფარეშოები, სახანძრო საევაკუაციო გასასვლელები, სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოწყობილობა, პირველი დახმარების კომპლექტები და საგანგებო რეაგირების შესაძლებლობა, ეკოლოგიური, სახანძრო თუ სამედიცინო საგანგებო მდგომარეობების შემთხვევებში.